ნინო ფიფია

ბერტრან რასელის „სოციალური რეკონსტრუქციის პრინციპები“

1916 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი, „სოციალური რეკონსტრუქციის პრინციბები“[1] რასელის პირველი წიგნია, რომელშიც ავტორი იკვლევს ყველაზე დიდი ბოროტების, ომის, როგორც სოციალური ინსტიტუციის წყაროს და მისი დაძლევის გზებს. ხოლო, ვინაიდან ომი სხვა ისეთ ინსტიტუტებთან არის დაკავშირებული, როგორიცაა სახელმწიფო, კერძო საკუთრება, განათლება, ქორწინება, ეკლესია, რასელი მათი რეკონსტრუქციის აუცილებლობაზეც საუბრობს. ომის შედეგად შექმნილი გარემოებიდან გამოსვლა რასელს შესაძლებელად მიაჩნია მხოლოდ ფუნდამენტური რექონსტრუქციის გზით ეკონომიკისა და სოციალურ სფეროში. ამ გამოსავლის ძიების დასაწყისში აუცილებელია იმის გაცნობიერება, თუ რა არის ომის გამომწვევი ფაქტორი. ამ უკანასკნელში რასელი გულისხმობს არა იმდენად რომელიმე ხელისუფალის, მთავრობის, სახელმწიფოს ნებას, დიპლომატიის მარცხს ან სხვა მსგავს კონკრეტულ მოვლენას, რამდენადაც ადამიანის ბუნებაში არსებულ წყაროს ნებისმიერი ქცევისა. პოლიტიკის ფილოსოფია, რომელიც ამ წიგნშია წარმოდგენილი, ეყრდნობა პოზიციას, რომლის თანახმადაც ადამიანის ცხოვრებაში იმპულსს უფრო მეტი გავლენა აქვს ვიდრე გაცნობიერებულ მიზნებსა და სურვილებს.

ადამიანის აქტივობას, რასელის კონცეფციის თანახმად, სამი ასპექტი აქვს. ესენია: ინსტინქტი, გონება და სული. ინსტინქტის აქტივობა ანუ „ინსტინქტის ცხოვრება“ (the life of instinct) გულისხმობს ყველაფერს, რაც თვითშენახვასა და რეპროდუქციას ეხება. ინსტინქტი კავშირშია ყველა იმ სურვილთან და იმპულსთან, რომელიც ინდივიდის ან ჯგუფის ბიოლოგიურ ინტერესებს ეხება. აქტივობა ინსტინქტის დონეზე გულისხმობს საკუთარი თავის, ოჯახის და იმის სიყვარულს, რასაც სამშობლოს სიყვარულამდე

[1] „Principles of Social Reconstruction“ წარმოადგენს 1916 წელს ლონდონში წაკითხულ იმ ლექციათა სერიას, რომელშიც რასელმა უფრო ვრცლად გადმოსცა ომის თემასთან დაკავშირებული საკუთარი არგუმენტები და, ზოგადად, ზნეობრივი მრწამსი. ამერიკაში იგივე შრომა გამოქვეყნდა 1917 წელს, სახელწოდებით „Why Men Fight“.

მივყავართ; გულისხმობს ასევე შემოქმედების იმპულსსაც. ინსტინქტის ცხოვრების ციკლია გზა სუსტი იმპულსებიდან ძლიერი, კონსტრუქციული იმპულსებისაკენ. გონების აქტივობა (the life of mind) კი სცდება პირადს, კერძოს, იმას, რაც ინსტინქტისათვის მნიშვნელოვანი, არსებითია და აზროვნებასთან, ცოდნასა და შემეცნების პროცესთან არის დაკავშირებული. სულის აქტივობაც (the life of spirit) მთლიანად არა-პირადული, არაეგოისტური გრძნობებით და განცდებითაა სავსე. ყოველგვარი შემოქმედება და ხელოვნება სულის აქტივობას განეკუთვნება. თუმც კი, ორივე მათგანი ინსტინქტის აქტივობასთანაც არის დაკავშირებული. სხვათა სიხარულისა და მწუხარების გაზიარება, იმის სიყვარული, რაც უშუალოდ და მხოლოდ ჩვენივე თავთან არ არის დაკავშირებული, ადამიანის ღირსებაზე ზრუნვა, კაცობრიობის წინაშე ვალდებულების გრძნობა, მორჩილება, თაყვანისცემა, ტრადიციული რელიგიური წესების თანახმად ცხოვრება, საგანთა და სამყაროს მიღმა არსებული სიბრძნისა და ჭეშმარიტების მისტიკური განცდა - ეს ყველაფერი სულის აქტივობის გამოვლინებაა. სრულყოფილ ცხოვრებაში სამივე ასპექტი კოორდინირებულია და ჰარმონიულ მთლიანობას ქმნის. მაგრამ მათ შორის ხშირად თვალშისაცემია კონფლიქტი. ინსტინქტსა და აზროვნებას შორის წინააღმდეგობას სულის აქტივობა დაძლევს. იმისთვის, რომ ადამიანის ცხოვრება აქტიური იყოს, ინსტინქტური იმპულსისათვის ძალა და მიმართულებაა აუცილებელი. ხოლო იმისთვის, რომ ადამიანის ცხოვრება კეთილი, სათნოებით აღსავსე იყოს, ინსტიქტური იმპულსები ნაკლებად პირადული და არაკონფლიქტური იმპულსებით უნდა ჩანაცვლდეს (ანუ დესტრუქციული იმპულსები კონსტრუქციულით უნდა შეიცვალოს). ამგვარი რამ პიროვნების გონებისა და სულის ერთობლივ აქტივობას გულისხმობს. თუმცა, სოციალური ინსტიტუციის რეფორმაციის გარეშე ინდივიდის ნებისმიერი ძალისხმება ამ მიმართულებით უშედეგოა.

ადამიანური აქტივობების (ყოველგვარი სოციალური, ინტელექტუალური თუ ემოციური ქცევის) წყაროდ რასელი სურვილებსა და იმპულსებს მიიჩნევს. მათგან უკანასკნელს გადამწყვეტი როლი აკისრია. როგორც რასელი წერს, არსებობს კრეატიული, შემოქმედების იმპულსი (creative impulse) და ეგოისტური, მესაკუთრული, ფლობის იმპულსი (possessive impulse). ადამიანთა აქტივობა ზოგჯერ მიმართულია იმის

შექმნისაკენ, რაც არ არსებობს, ზოგჯერ კი - უკვე არსებულის მხოლოდ დაუფლების, მოპოვებისა და მოთხოვნისაკენ. ტიპური კრეატიული იმპულსის შედეგია ხელოვნება, ხოლო ფლობის იმპულსის შედეგი კი - ქონება, საკუთრება. კარგია ის ცხოვრება, რომელშიც შემოქმედების იმპულსი ჭარბობს; საუკეთესოა ის ინსტიტუტი, რომელიც ხელს უწყობს შემოქმედებას და ნაკლებ გასაქანს აძლევს ფლობის იმპულსს.

ვინაიდან სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები ადამიანთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ზემოქმედების ძალის მქონეა, რეკონსტრუქციის არეალად, რასელის თანახმად, სწორედ ეს ინსტიტუციები უნდა იქცნენ. რასელის მთავარი განაცხადი ძალიან მკაფიოა: პოლიტიკური თეორიის საყრდენი უნდა იყოს შემოქმედების მოტივაციური ძალის (შემოქმედებითი იმპულსის) და არა კონკურენციის (მესაკუთრული იმპულსის) იდეა. ამ თეორიის თანახმად, პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა, მესაკუთრეობის ნაცვლად, კრეატიულობას უნდა შეუწყონ ხელი. საკუთრების იმპულსების ძირითადი პოლიტიკური რეალიზიებაა სახელმწიფო, ომი, ქონება; განათლება, ქორწინება და რელიგია (ეკლესია) შემოქმედებითი იმპულსების ხორცშესხმას უნდა წარმოადგენდეს. შემოქმედების თავისუფლება უნდა იყოს სოციალური რეკონსტრუქციის პრინციპი და საფუძველი.

იმპულსი იმდენად განსაზღვრავს ადამიანის ქმედებას, რომ ხშირად ის სურვილებზეც ზემოქმედებს, ფიქციებად აქცევს მათ. იმპულსი არის, ის რაც გვმართავს, სურვილი კი - ხშირად, საბურველია მხოლოდ. ზოგ შემთხვევაში იმპულსი და სურვილი ავსებს ან ანაცვლებს ერთმანეთს. ზოგჯერ იმპულსი სურვილს ეწინააღმდეგება. სურვილი გაცნობირებულია, იმპულსი კი - არა. ბუნებით ყველა იმპულსი, რასელის თანახმად, არსებითად ბრმაა, იმ აზრით, რომ ის არ მომდინარეობს რაიმე შედეგების წინასწარგანსაზღვულობიდან. თუმც კი, ადამიანები იმპულსს შედეგებიდან გამომდინარე აფასებენ და მათ მიერ გაკეთებული შეფასებები, თითქოს იმით განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ ისინი განსხვავებული ინტელექტუალური ან ზნეობრივი პოზიციებიდანაა გაკეთებული. სინამდვილეში, შეხედულებათა განსხვავებულობის საფუძველი განსხვავებული იმპულსებია. ბრმა იმპულსი ხშირად ნგრევის, ომის წყაროა, მაგრამ იგი ასევე შეიძლება იქცეს მეცნიერების, ხელოვნების და სიყვარულის წყაროდაც (Russell, 1997: 14-15). ვინაიდან ერთ შემთხვევაში ეს წყარო დესტრუქციული,

მესაკუთრული იმპულსია, სხვა შემთხვევაში კი - კონსტრუქციული, შემოქმედებითი. რასელის თანახმად, განსაზღვრულ ჩარჩოებში, გარკვეულ ვითარებებსა და ცხოვრების გარკვეული წესის შემთხვევაში იმპულსების შეცვლა, მათი მოდიფიცირება სავსებით შესაძლებელია. რასელის რწმენით, სწორედ ეს მოდიფიკაციები უნდა იქცეს კვლევის საგნად და სწორედ ასეთი კვლევის შედეგები უნდა იყოს გათვალისწინებული, როცა ვაფასებთ ამა თუ იმ სოციალური თუ პოლიტიკური ინსტიტუციის სიავკარგეს, ნაკლოვანებას. სოციალური რეკონსტრუქციის შესაძლებლობაც სწორედ იმპულსთა მოდიფიკაციის შესაძლებლობას ეყრდნობა.

სახელმწიფო, როგორც ძლიერი სოციალური ინსტიტუტი, ძალაუფლების სიჭარბის, გადამეტების გამო ადამიანის სიცოცხლისათვის ზიანის მომტანია. სახელმწიფოს ზოგი ფუნქცია უნდა შეიკვეცოს, ზოგიც შენარჩუნდეს. კომუნიკაცის საშუალებები (ფოსტა) და განათლება შესაძლებელია კერძო სტრუქტურას გადაეცეს; ხოლო კანონი, პოლიცია, არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი, სახელმწიფოს არსებობის პირობებში, ძნელად წარმოსადგენია ოდესმე კერძო ინსტიტუციურ ფუნქციებად იქცნენ. ამასგარდა, კანონები ხშირად შერჩევითი და არაობიექტურია: ზოგჯერ, ის რაც დასაშვებია ან აკრძალულია საკუთარი მოქალაქისთვის, აკრძალული ან საერთოდ უყურადღებოდაა მიტოვებული უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის და რეგულაციები მათზე ან არ ვრცელდება ან მათი მოქმედება არაობიექრუტტურად ნეგატიური ხასიათისაა (ამის მაგალითია ომის დროს მოქმედი კანონები). თუმცა თავისი ძალა სახელმწიფომ შეიძლება გამოავლინოს არა მხოლოდ ტირანული კანონების, არამედ ტირანული საზოგადოებრივი აზრის მეშვეობითაც. სახელმწიფო ასეთი აზრის „ჩამოყალიბებას“ ორატორული ხელოვნებითა და პრესის მეშვეობით ახერხებს.

კერძო საკუთრება, რომელიც სოციალურ სფეროში, ეკონომიკისთვის უმთავრეს მონაპოვრადაა მიჩნეული, სოციალურ დონეზე ყველაზე ნათლად ააშკარავებს იმ მანკიერებას, რომელიც მესაკუთრული იმპულსის კულტივაციას მოსდევს. იმ სხვაობის მიუხედავად. რაც ორგვარ, კანონით დაცულ მესაკუთრეობასა და აგრესიულ მესაკუთრეობას შორის არსებობს, სოციალური უსამართლობის ერთ-ერთი აქტიური წყარო სწორედ ამ დესტრუქციული იმპულსის წახალისებაა.

სახელმწიფო და კერძო საკუთრება მესაკუთრული იმპულსის საუკეთესო რეალიზაციებია: სწორედ ამის გამო არის ერთიც და მეორეც ცხოვრების წინააღმდეგ და ომში ჩამთრევი. ინსტიტუციათა შორის ყველაზე უარესი, სრულიად მესაკუთრულ და დესტრუქციულ იმპულსებზე აგებული, არის სწორედ ომი. ის არღვევს პიროვნულ, საზოგადოებრივ მთელს, კაცობრიობას: კლავს მას როგორც ხორციელად ასევე სულიერად. სოციალური რეკონსტრუქცია აქტუალურია არ მხოლოდ ომის შემდგომ პერიოდში, როცა უამრავი ახალი პრობლემა გამოდის დღის სინათლეზე, არმედ თავად ომის დროსაც. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ადამიანთა არცთუ მცირე ჯგუფი უარს აცხადებს საბრძოლო მოქმედებებში ჩაბმას და სხვა ტიპის აქტივობას (აქტიური პაციფიზმი) ამჯობინებს ომის აღმოსაფხვრელად. ბრმა იმპულსი არა მხოლოდ ომისაკენ ბიძგია, არამედ წარმოშობს ფსევდო ინტელექტუალურ მოტივებს, რომელიც ერებს თითქოს იარაღის ხელში აღების საჭიროებასა და აუცილებლობას უკარნახებს.

განათლების სფერო კრეატიულ იმპულსებს უნდა ეფუძნებოდეს. ამ სფეროში საფრთხეს წარმოადგენს იდეოლოგიური დოქტრინაცია, ფანატიზმი. განათლება უნდა იძლეოდეს გარკვეულ ინფორმაციას და უნდა აყალიბებდეს კრიტიკული აზორვნების უნარებს, რომელიც ცოდნის დაუფლებისა და დასაბუთებული პოზიციების ჩამოყალიბების საშუალებაა. განათლების საბოლოო მიზანი კი უნდა იყოს იმგვარი აღზრდა, რომელიც პოზიტიური, შემოქმედებითი იმპულსების გააქტიურებას და, ამგვარად, უკეთესი ცხოვრების მიმართულებით მოძრაობას და რეკონსტრუქციას შეუწყობს ხელს.

ქორწინება, ოჯახი როგორც სოციალური ინსტიტუცია ასევე არ უნდა იდგეს მესაკუთრულ იმპულსზე - თავისი არსით ის შემოქმედებითი იმპულსის შედეგია; და, რასელის თანახმად, მთლიანად თავისუფლების ღირებულებას უნდა ეფუძნებოდეს.

რელიგია ნაწილობრივ პირადია (მაგ., პროტესტანტებისთვის), ნაწილობრივ კი სოციალური (მაგ., კათოლიკეთათვის). ეკლესიის ნაკლთაგან, რასელის აზრით, ყველაზე უმთავრესია საეკლესიო დოქტრინები, კრედოები, ვინაიდან ისინი ადამიანების თავისუფალ ენთუზიაზმს ზღუდავენ და ხშირად ინტელექტუალურ პატიოსნებასაც უქმნიან საფრთხეს. ჭეშმარიტი რელიგიური ცხოვრება კი ფეხს ვერ მოიკიდებს იქ, სადაც

ეკლესიის, კლერიკალობის ნაკლოვანებები დაძლეული არ არის. თუმცა მათ წიაღშიც არიან ჭეშმარიტი მორწმუნენი, რომელნიც სრულიად უანგაროდ და პატიოსნად ქადაგებენ მშვიდობას, სიყვარულს და რომელთაც უამრავ კეთილ საქმეს უნდა ვუმადლოდეთ.

სოციალ-პოლიტიკური რეკონსტრუქციისას გასათვალისწინებელია ჩვეულებრივ ადამიანთა სასიცოცხლო მოთხოვნილებები - არამხოლოდ ეკონომიკური, როგორც ამას ხშირად მიიჩნევენ (სოციალიზმი). ადამიანისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობა, არამედ პიროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა, თავისუფალი გარემო შემოქმედებისთვის, ნებაყოფლობითი თანამშრომლობა, ნაკლები ორიენტირებულობა სხვათა და არა საკუთარ მიზნებზე - ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობს სულიერ და მენტალურ ზრდას, კარგ ცხოვრებას.

იმაზე ზრუნვისას, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს საზოგადოება, რათა შედეგად უკეთესი საზოგადოება მივიღოთ, ორი პრინციპია გადამწყვეტი: 1. რამდენადაც ეს შესაძლებელია, ხელი უნდა შეეწყოს პიროვნებისა და ერთობის ზრდასა და სიცოცხლისუნარიანობას; 2. ერთი პიროვნებისა ან ერთი ერთობის ზრდა რაც შეიძლება ნაკლებად უნდა მოხდეს სხვა ადამიანის ან ერთობის ხარჯზე. ამ პრინციპთა ასამოქმედებლად საჭიროა ერთმანეთთან ინტეგრირდეს პირველ ყოვლისა ინდივიდთა ცხოვრება, შემდეგ კი საზოგადოებისა და მთელი კაცობრიობის ცხოვრება, ისე, რომ მსხვერპლად არ შეიწირონ ინვიდვიდუალობა. ცალკეული ინდივიდის ან საზოგადოების ცხოვრება ცალკეული ფრაგმენტები კი არ უნდა იყოს, არამედ, გარკვეული აზრით, ერთ მთლიანობას უნდა წარმოადგენდეს. ინდივიდის ცხოვრების ინტეგრაცია მოითხოვს ნებისმიერი შემოქმედებითი იმპულსის ხორცშესხმას, რასაც ადამიანის განათლებამაც უნდა შეუწყოს ხელი. საზოგადოების ინტეგრაცია კი მოითხოვს, რომ სხვადასხვა ადამიანთა განსხვავებული შემოქმედებითი იმპულსები ერთი ტიპის ცხოვრებისთვის (კარგი ცხოვრებისთვის) ანუ ერთ კონსტრუქციულ მიზანზე იყოს მომართული; ხოლო საზოგადოების ყოველი წევრი ხელშეწყობილ იქნას თავის საქმიანობაში. შემოქმედებითი იმპულსი ხელს უწყობს როგორც ინდივიდის საკუთარ ცხოვრებას ასევე, იმ სხვა ინდივიდთა ცხოვრებას, ვინც მსგავსი იმპულსითაა მართული. მესაკუთრული იმპულსი არღვევს ცხოვრებას ნებისმიერი ჯგუფისა, რომელსაც განსხვავებული იმპულსი ან

გარემოება ამოძრავებს. ამიტომ წარმატებული საზოგადოება შენდება სწორეს იქ, სადაც წახალისებულია სწორედ შემოქმედებითი იმპულსი.

ომი არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ შეუძლებელია ერთი საზოგადოების ცხოვრების ინტეგრაციის ხელშეწყობა მაშინ როცა ცივილიზებული ქვეყნებს შორის ურთიერთობა აგრესიითა და ეჭვის ფონზე რეგულირდება. ამიტომაც, ნებისმიერი სოციალური რეფორმის განხორციელება მხოლოდ საერთაშორისო დონეზეა შესაძლებელი. ნაწილობრივი ინტეგრაცია, ცალკეული ერის ინტეგრაცია (რასაც, რასელის აზრით, ვთქვათ, პატრიოტიზმი გულისხმობს) პრობლემას ვერ წყვეტს.

რასელის აზრით, თანამედროვე სახელმწიფო მნიშვნელოვან წილად მესაკუთრული იმპულსების ხორცშესამაა: შიგნით ის იცავს მდიდრებს ღარიბებისგან; გარეთ კი თავის ძალას იყენებს დაბალი რასის ექსპლუატაციისათვის და სხვა სახელმწიფოებთან კონკურენციისათვის. თანამედროვე ეკონომიკური სისტემა მხოლოდ მესაკუთრეობაზე დგას. თუმცა საქონელწარმოება, თუკი არ გავითვალისწინებთ იმას, რომ მექანიკური და ერთფეროვანია, შემოქმედების ერთგვარი ფორმაა და მას შემოქმედებითი იმპულსის მამოძრავებლად შეიძლება იქცეს. თანამედროვე წარმოების სისტემა აქამდე არსებულთაგან ყველაზე დამანგრეველია. თუმცა მსხვილი წარმოების ტექნოლოგიური მხარე შეუცვლელია და უნდა განვითარდეს რეკონსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად.

თანამედროვე განათლება განიხილება ცრურწმენების, არათავისუფალი აზრის გზით იმ Status quo-ს შენარჩეუნების საშუალებად, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებშია. იგი არ უწყობს ხელს თავისუფალ აზროვნებას, არ ასტიმულირებს გონებრივ თავგადასავლებს; ქორწინება, სიყვარული (თავისი არსით კრეატიული) მოქცეულია ეჭვის, ან საზოგადოებრივი აზრისა და იდეოლოგიური ინტერესების მარწუხებში. რელიგია, რომელიც სულს შემოქმედების თავისუფლებას უნდა ანიჭებდეს, ცდილობს ჩაახშოს ინსტინქტი და ებრძოლოს ამ გზაზე შემაფერხებელი აზროვნების ტიპს.

მართალია, მორალური და პოლიტიკური თვალსაზრისით შემოქმედების და მესაკუთრეობის იმპულსები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ ფსიქოლოგიური თვალთახედვით, გარკვეულ გარემოებებისა და ძალისხმევის პირობებში ისინი

ერთმანეთში შეიძლება გადაიზარდონ, შეიცვალონ. იმპულსების გენეზისი და მათი შეცვლის ეს პირობები უნდა იქნას სწორედ შესწავლილი.

იმპულსსა და სურვილებს შორის კონფლიქტისას აქტიურდება შინაგანი ნება როგორც ამკრძალავი, ჩამხშობი მექანიზმი. კონფლიქტები იმპულსსა და სურვილებს შორის ნაკლებია იქ, სადაც თავად ინდივიდი ფლობს ცოდნას ვითარების გამოსასწორებლად და, რაც მთავარია, სადაც, სოციალური ინსტიტუტები ინიდივიდის თავისუფლებას უწყობს ხელს და არა იქ, სადაც კვლავაც მოძველებული ინსტიტუტები და ტირანული საზოგადოებრივი აზრია გაბატონებული. როცა ინსტიტუცია მიმართულია კრეატიული იმპულსების წახალისებაზე ამგვარი პრობლემა მნიშვნელოვან მინიმუმამდე დაიყვანება.

რასელის რწმენით, ინსტიტუციათა რეფორმის გარდა, აუცილებელია ცხოვრების იმგვარი ფილოსოფია, რომელიც უმაღლეს მიზნად სახავს არა შემოსავალს და ადამიანს შედეგებით, მატერიალური კეთილდღეობით დაკმაყოფილებას ასწავლის, არამედ ის, რომელიც შემოქმედებით იმპულსებს უაქტიურებს. არც ის ფილოსოფიური თეორიებია პანაცეა, რომლებიც განათლებაზე ამახვილებენ რა ყურადღებას, ზედმეტად არიან ფიქსირებულნი წარსულზე და არა მომავალზე, სწორ ქცევაზე და არა ეფექტურ მოქმედებაზე. საჭიროა ისეთი ფილოსოფია ან რელიგია, რომელიც ცხოვრებას შეუწყობს ხელს. თუმცა ეს ხელშეწყობა უმაღლეს ღირებულებად მოითხოვს იმაზე მეტს, ვიდრე ცხოვრებაა, სიცოცხლეა. თუ ცხოვრება მართლაც ჰუმანურია, მაშინ ის უნდა ემსახურებოდეს მიზნებს, რომლებიც ზეპიროვნულია და კაცობრიობაზე მაღლაც კი დგას - ღმერთს, ჭეშმარიტებას, მშვენიერებას (Russell, 1997: 168-169).

რასელის სოციალური ფილოსოფია (ასევე მისი ეთიკური და რელიგიური კონცეფციები) ეფუძნება პიროვნების თავისუფლებისადმი უპირობო რწმენის პრინციპს. შემოქმედებითი იმპულსის წახალისება სწორედ ამ თავისუფლების გამოვლენაა, მისი ჩახშობა კი - ბორკილებია, რომელსაც ხშირად სოციალური ინსტიტუციები აწესებს. „თავისუფლების ყველაზე უარესი მტერი არის ომი“ (Russell, 1997: 54). მაგრამ რასელის თეორია არ არის მხოლოდ თეორია. იგი პრაქტიკაში ასხამს ხორცს საკუთარ იდეებს: სკოლა, სადაც ინერგებოდა რასელის განათლების ფილოსოფიის პრინციპები; პაციფიზმის

ქადაგება, ბირთვული ომის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი კამპანია, მანიფესტი ომის წინააღმდეგ, პროტესტი ვიეტნამის ომის, ჩეხოსლოვაკიაში ინტერვენციის წინააღმდეგ და ა.შ. მისი პოპულარული ნაშრომებიც ამ პრაქტიკის ნაწილია.

„სოციალური რეკონსტრუქციის პრინციპებთან“ დაკავშირებით მოგვიანებით რასელი წერდა: „სოციალურ რეკონსტრუქცია“ არ დამიწერია ფილოსოფოსის პოზიციიდან. მე ვწერდი მას როგორც ადამიანი, რომელსაც აწუხებდა თანამედროვე მსოფლიოს მდგომარეობა, რომელსაც სურდა მიეგნო რაღაც გზისთვის, რათა გაეუმჯობესებინა ეს მდგომარეობა, და მსურდა მესაუბრა იმ ადამიანებთან, ვისაც მსგავსი გრძნობა გააჩნდა“ (Russell, 1951: 730-731). ასე უპასუხა მან არაორაზროვან შენიშვნას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ ხმარობდა ზოგ ტერმინს ამ ნაშრომში საკუთრივ მეცნიერული, ვიწრო აზრით და აკადემიური ფილოსოფიის (ან სულაც ფსიქოლოგიის) გადმოსახედიდან, რატომ იქმნებოდა ტერმინთა („ინსტინქტი“, „იმპულსი“) აღრევის შთაბეჭდილება. რასელი არ უარყოფს ერთგვარ ფსიქოლოგიზმს, რომელმაც ამ ნაშრომში იჩინა თავი. შესაძლოა სწორედ ასეთ ფსიქოლოგიზმშიც იყოს ის რესურსები, რომლითაც რასელი აუდიტორიას მოიზიდავდა და, შესაბამისად, გაზრდიდა თანამოაზრეთა და თანამებრძოლთა რიცხვს. ასეც მოხდა მაშინ.

დღეს მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, ეკონომიკური და სოციალური გარემო საგრძნობლად შეცვლილია. ადამიანის ცხოვრება არსებითად გამოეთხოვა არაერთ ძველ პრობლემას, ინდივიდები, საზოგადოება და კაცობრიობა ახალი და შესაძლოა გაცილებით უფრო მძიმე საფრთხეები ქვეშ დგას. პირველ მსოფლიო ომს „უკანასკნელ ომსაც“ უწოდებდნენ მისი თანამედროვეები. დღეს დაბეჯითებით არც იმის პროგნოზირებაა შესაძლებელი რა სახეს მიიღებენ მომავლის ომები. თუმცა ის უმთავრესი ფაქტორები, რომლებიც სოციალურ და პოლიტიკურ სინამდვილეს განაპირობებენ, როგორც ჩანს იგივე რჩება. სახელმწიფო, კერძო საკუთრების ინსტიტუტი, ომი კვლავაც დესტრუქციულ იმპულს უქმნის ნოყიერ ნიადაგს; ქორწინების ინსტიტუტის, განათლებისა და ეკლესიის წიაღში კვლავაც მესაკუთრული სჭარბობს შემოქმედებითს. ამიტომ რეკონსტრუქციის ზოგად პრინციპს - შემოქმედებითობისათვის ხელის შეწყობას და მესაკუთრული ინტერესებისა და იმპულსების შემცირებას -, შესაძლოა ისევ საუკუნის წინანდელ

პრაქტიკასაც დავესესხოთ. რასელი წერდა - „ის, რაც ჩვენ პრაქტიკაში უნდა ვაკეთოთ, თითოეული ჩვენთაგანისათვის განსხვავებული რამ არის. მაგრამ თუკი ჩვენ სულის ცხოვრებით ვცხოვრობთ, მაშინ ის, თუ რა უნდა ვაკეთოთ და რას უნდა გავურბოდეთ ჩვენთვის ცხადი გახდება“ (Russell, 1997: 169). იმედია ასე იქნება ჩვენთვისაც, ვინც XXI-ე საუკუნეში ვცხოვრობთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Russell B., „Principles of Social Reconstruction“, L., „Routledge“, 1997.
2. Russell B., „Reply to Criticism“ / The Philosophy of Bertrand Russell, ed. P.A. Schillp, N-Y. 1951, pp. 681-741.
3. Lindeman E., Russell's Concise Social Philosophy / The Philosophy of Bertrand Russell, ed. P.A. Schillp, N-Y. 1951, pp. 559-577
4. McGill V.J. Russell's Political and Economic Philosophy . 581-617
5. Рассел Б., Словарь разума, материи и морали, Киев, «Part-Royal», 1996.

B. Russell's "The Principles of Social Reconstruction"

According to Bertrand Russell, political theory must be based on the motivating force of creativity, in other words, on a creative impulse, rather than on competition or a possessive impulse. Political institutions should promote creativeness at the expense of possessiveness. The State, war, property are the main political embodiments of the possessive impulses; education, marriage, and religion ought to embody the creative impulses. Liberation of creativeness ought to be the principles and the basis of social reconstruction. The purpose of the presented report is to show how much relevant Russell's book is even in a hundred years after its first publication.